

თეთრგვერდა დელფინების გავრცელება და მასზე მოქმედი ფაქტორები
შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

მერაბ მოსიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო
პროგრამა - ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნათია კოპალიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

სარჩევი

სარჩევი.....	iii
აბსტრაქტი	3
შესავალი	4
კვლევის მიზნები.....	5
ლიტერატურული მიმოხილვა	5
გამოყენებული მეთოდები	7
მიღებული შედეგები და მათი ანალიზი	10
დისკუსია	20
ბიბლიოგრაფია	23

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო დაგვედგინა, რა ფაქტორები მოქმედებს თეთრგვერდა დელფინების გავცელებაზე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და დამოკიდებულია თუ არა მათი გავრცელება ნაპირიდან დაშორებაზე, წყლის სიღრმეზე, წყლის ტემპერატურასა და სხვა ცვლადებზე.

კვლევაში გამოყენებულია 2014 - 2019 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორებისა და მკვლევარების მიერ შეგროვებული მონაცემები. აღრიცხვა ყოველ წელს ტარდებოდა ერთი და იგივე მეთოდის გამოყენებით, რაც მონიტორინგის აუცილებელი მოთხოვნაა.

აღებულ მონაცემებზე დაყრდნობით დარუკდა თეთრგვერდა დელფინების შეხვედრის წერტილები შავ ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. რუკები დაიყო წლების, სეზონების და შეხვედრილი ჯგუფების სიდიდის მიხედვით. კვლევაში ასევე გამოყენებულია შავი ზღვის ბათიმეტრიული მოდელი და მისი საშუალებით დადგინდა, რომ არ იკვეთება კავშირი თეთრგვერდა დელფინების ადგილმდებარეობასა და წყლის სიღრმეს შორის. არ აღინიშნა სარწმუნო კორელაცია თეთრგვერდა დელფინების ჯგუფების სიდიდეს და ნაპირიდან დაშორებას, მდინარის შესართავთან სიახლოვის და წყლის ტემპერატურას შორის. როგორც ჩანს, ერთადერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თეთრგვერდა დელფინების სივრცულ განაწილებას და ჯგუფების სიდიდეს არის პელაგიური ქარავნული, ცხიმის მაღალი შემცველობის მქონე თევზების კონცენტრაცია და მიგრაციები.